ახალი ხარაგაული

№335 (27), 14 ნოემბერი, 2016 წ.

საკრებულოს თავმჯდომარე, ინგა მაღრაძე, თანამდებობიდან გადაყენეს

7 ნოემბერს დეპუტატების უმრავლესობამ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ინგა მაღრაძეს, უფლებამოსილების ამოწურვამდე 1 წლით ადრე, იმპიჩმენტის წესით თანამდებობა დაატოვებინა. ფარული კენჭისყრის დროს ხმები შემდგენაირად გადანაწილდა: საკრებულოს 35 წევრიდან ინგა მაღრაძის საკრებულოს თავმჯდომარეობიდან გადარჩევას მხარი 22 -მა დეპუტატმა დაუჭირა, წინააღმდეგი 7 დეპუტატი გახლდათ, 2 ბიულეტენი კი ბათილი აღმოჩნდა. ფარულ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღეს საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა და „თავისუფალი საქართველოს“ წარმომადგენელმა კობა გოგსაძემ. შეგახსენებთ, რომ ინგა მაღრაძეს ხარაგაულის საკრებულოს თავმჯდომარის პოსტი 2 წლისა და 3 თვის განმავლობაში ეკავა. ამჯერად კი ქალბატონი ინგა საკრებულოში საქმიანობას ლეღვნის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატის მანდატით განაგრძობს.

ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის, ვარლამ (ტატო) თავზარაშვილის, თქმით, ინგა მაღრაძის თანამდებობიდან გადაყენების ერთ-ერთი საფუძველი დეპუტატების მხრიდან მისი საქმიანობის უარყოფითად შეფასება გახლდათ. „სამი თვის წინ იყო პირველი მცდელობა, საკრებულოს თავმჯდომარე თანამდებობიდან გადაგვეყენებინა. თუმცა მოხდა ტექნიკური ხარვეზი და სამი ბიულეტენი, რომლებშიც დეპუტატის ნება ნათლად იყო გამოხატული, ბათილად ჩაითვალა. აქედან გამომდინარე პირველ აგვისტოს ინგა მაღრაძეს თანამდებობა არ დაუტოვებია. დღეს კი 22-მა დეპუტატმა მის გადარჩევას მხარი დაუჭირა,“ - აცხადებს თავზარაშვილი.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ვარლამ ჭიპაშვილი, მიიჩნევს, რომ მაღრაძეს საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობა აქამდეც უნდა დაეტოვებინა. „ქალბატონი ინგა, ვერ უზრუნველყოფდა რეგლამენტის დაცვით საკრებულოს სხდომების წარმართვას, ხელს არ უწყობდა კომისიების მუშაობას, უმეტეს შემთხვევაში, მხარს არ უჭერდა მუნიციპალიტეტისთვის მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს, არ ჰქონდა დეპუტატების უმრავლესობასთან კომუნიკაცია. ამავე დროს, იგი იყო ოპოზიციური პარტიის „რესპუბლიკელების“ წარმომადგენელი და, რა თქმა უნდა, ვერ იქნებოდა საკრებულოში უმრავლესობით დაკომპლექტებულ წევრთა ლიდერი,“ - განმარტა ჭიპაშვილმა.

საკრებულოს უკვე ყოფილი თავმჯდომარე კი თანამდებობიდან გადაყენების მთავარ მიზეზად ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ ვითარებას მიიჩნევს.

შეგახსენებთ, რომ საკრებულოს თავმჯდომარის გადაყენების შესახებ წერილობით განცხადებას ოცი დეპუტატი (ვარლამ ჭიპაშვილი, ვარლამ თავზარაშვილი, შალვა ლურსმანაშვილი, მანანა ბარბაქაძე, გივი თხელიძე, მარინა ვეფხვაძე, ნონა ზურაბიანი, ვლადიმერ ტალახაძე, მერაბ ტალახაძე, გივი ხიჯაკაძე, გიორგი გრიგალაშვილი, ლენა აბაშიძე, დავით კიკნაძე, დავით ლურსმანაშვილი, ჯამბულ გამცემლიძე, იუზა კელენჯერიძე, აზა ფურცელაძე, ბესიკ ფოცხვერაშვილი, მიხეილ გელაშვილი, ბესიკ ტალახაძე) აწერდა ხელს.

დეპუტატები ახალ თავმჯდომარეს უახლოეს საკრებულოს სხდომაზე აირჩევენ, მანამდე მოვალეობას მანანა ბარბაქაძე შეასრულებს.

საკრებულოს ახალ თავმჯდომარედ მანანა ბარბაქაძის კანდიდატურაა წარდგენილი

ხარაგაულის საკრებულო ახალი თავმჯდომარის არჩევას 14 ნოემბერს საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე გეგმავს. ამის შესახებ დეპუტატებმა 11 ნოემბერს გამართულ ბიუროს სხდომაზე იმსჯელეს. საკრებულოს ახალ თავმჯდომარედ "ქართული ოცნების" წევრის, მანანა ბარბაქაძის, კანდიდატურაა წარდგენილი. რაც შეეხება საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის კანდიდატურას, ჩვენგან მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გივი თხელიძე განიხილება. გივი თხელიძის ადგილს, სავარაუდოდ, ვარძიის მაჟორიტარი დეპუტატი გივი ხიჯაკაძე დაიკავებს.

რისთვის ითხოვენ ა(ა)იპ-ები დამატებით სუბსიდიას

ა(ა)იპ-ებს მიმდინარე წლის ნოემბრის თვის შრომის ანაზღაურებისა და სხვა გადაუდებელი ხარჯების დასაფინანსებლად დამატებითი სუბსიდია ესაჭიროებათ. ამის შესახებ საბიუჯეტო ცვლილება 11 ნოემბერს გამართულ ბიუროს სხდომაზე საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, ვლადიმერ გელაშვილმა, წარმოადგინა. როგორც მოხსენებითი ბარათიდან ირკვევა, ა(ა)იპ „ხარაგაულდასუფთავება“ - 45,0 ათასი ლარი ესაჭიროება, ა(ა)იპ „ხარაგაულკეთილმოწყობას“ 24,0 ათასი ლარი, ა(ა)იპ ,,სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებას“ 65,0 ათასი ლარი, ა(ა)იპ კულტურის ცენტრს - 20,3 ათასი ლარი, ა(ა)იპ ცენტრალურ ბიბლიოთეკას - 15,0 ათასი ლარი,ა(ა)იპ ისტორიულ მუზეუმს — 0,7 ათასი ლარი.

აღნიშნული საბიუჯეტო ცვლილების შესახებ დეპუტატები 14 ნოემბერს გამართულ საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე იმსჯელებენ.

„შემოდგომა იმერეთში“

10 ნოემბერს ხარაგაულის ისტორიულ მუზეუმში (დირექტორი ნინო დიდიძე) მეტად შთამბეჭდავი ღონისძიება „შემოდგომა იმერეთში“ გაიმართა. შემოდგომასთან დაკავშირებული სიუხვისა და საქმიანობის ულამაზეს სამყაროდ იყო ქცეული მუზეუმის ეზო: ივლებოდა ჩურჩხელა, ცხვებოდა თონეული, შიშხინებდა მწვადი...

მუზეუმის მიმდებარე ტერიტორიაზე ასევე გამოფენილი იყო ხარაგაულის ძველი ხედების ფოტომასალა და უძველესი ეთნოგრაფიული ნივთები. ამ არაჩვეულებრივ საღამოში ჩართული იყვნენ ოთარ აბაშიძის სახელობის სახალხო თეატრის მსახიობები, რომლებმაც სპაქტაკლ „დარისპანის გასაჭირიდან“ ნაწყვეტი წარმოადგინეს. კომპოზიცია „შემოდგომა იმერეთში“ ასევე გაალამაზეს ხალხური შემოქმედებითი სახლის ახალგაზრდებმა, რომლებმაც ფოლკლორული სიმღერები შეასრულეს და მაღალი მხატვრული ოსტატობით წაიკითხეს ლექსები.

სტუმრებს შორის იმყოფებოდნენ: ახლად არჩეული ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატი კობა ლურსმანაშვილი, მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ თოფურიძე და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები.

„ხარაგაულს გააჩნია ძალიან ღრმა ისტორიული და კულტურული ფესვები, რასაც ჩვენ უნდა გავუფრთხილდეთ, შევინარჩუნოთ და მომავალ თაობებს გადავცეთ.“ - აღნიშნა კობა ლურსმანაშვილმა და დასძინა, რომ კარგი იქნება, თუ მსგავსი ტიპის ღონისძიებები უფრო ფართო მასშტაბით იქნება წარმოდგენილი.

ახლად არჩეული გამგებელი ნიკოლოზ თოფურიძე დღევანდელი დღით მოხიბლულია და ამბობს, რომ „შემოდგომამ იმერეთში“ მასზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა.

,,მინდა, ყველა მონაწილეს დიდი სიყვარულითა და პატივისცემით მადლობა გადავუხადო ასეთი მაღალი დონის საღამოს ორგანიზებისათვის. აქ იყვნენ მეღვინეები, რომლებმაც თავიანთი ნაწარმი წარმოადგინეს. რამდენიმე სახის ღვინო გავსინჯე, რომელმაც ჩემი ბავშვობა და იმ დროს დაგემოვნებული იმერული ღვინის არომატი გამახსენა. ის ყოველთის გამოირჩევა თავისი განსაკუთრებული სურნელით, გემოთი, სიმსუბუქით და მრავალფეროვნებით. ვფიქრობ, მომავალ წელს „ხარაგაულელობა“ აღინიშნება და ბევრი მსურველი შეძლებს ნახოს, თუ როგორი ადამიანები ცხოვრობენ, მოღვაწეობენ და დიდ შემოქმედებით პოტენციალს ქმნიან აქ.“ - აღნიშნა ბატონმა ნიკოლოზმა.

ისტორიული მუზეუმის დირექტორი ნინო დიდიძე ამბობს, რომ, ზოგადად, მუზეუმების და, მათ შორის, ხარაგაულის ისტორიული მუზეუმის გრძელვადიან სტრატეგიას წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის ისტორიის შესწავლა.

„ჩვენი მიზანია, შევადგინოთ ისეთი პროგრამები, რომლებიც დააახლოებს მუზეუმსა და დამთვალიერებელს ერთმანეთთან. ეს არ უნდა იყოს მხოლოდ ექსპონატების ხილვა და ამით მიღებული სიამოვნება, აქ უნდა იყოს მთლიანად დამთვალიერებლის ჩართულობა, რისი დასტურიც დღევანდელი ღონისძიებაა,“ - განაცხადა ქალბატონმა ნინომ.

ღონისძიების დროს სიგელებით დაჯილდოვდნენ ის მევენახე-მეღვინეები (ბებურ ბაჭავარიანი, კახაბერ კიკნაძე, ბადრი ბერაძე, მევლუდ მესხი, თეიმურაზ ოსანაძე, ზურაბ დევდარიანი, სულიკო ჭანკვეტაძე და ვიტალი ხარაძე), რომლებიც უკვე წლების განმავლობაში მონაწილეობენ მუზეუმში ტრადიციად ქცეულ საოჯახო წარმოების ღვინის დეგუსტაცია-კონკურსში.

გვერდი მოამზადა
ეკა შავიძემ

ზვარეში ჩინელებსა და ადგილობრივებს შორის ინციდენტი მოხდა

3 ნოემბერს სოფელ ზვარეში ჩინური კომპანიის წარმომადგენლებსა და ადგილობრივ მცხოვრებლებს შორის დაპირისპირება მოხდა. დაპირისპირების საფუძველი 2 ნოემბერს, საღამოს საათებში, ჩინელებსა და ადგილობრივებს შორის მომხდარი ინციდენტი გახლდათ. როგორც ზვარელები ამბობენ, ჩინელები ფიზიკურად გაუსწორდნენ 3 ადამიანს, რომელთაც ტყიდან შეშა მოჰქონდათ. საშეშე მერქანი ჩინელებს საკუთარი დასაწყობებული მარაგიდან მოპარული ეგონათ. დაშავებულია 7 პიროვნება, რომელთა მდგომარეობა ამ ეტაპზე სტაბილურია.

აღნიშნული ფაქტის გამო ზვარეში რკინიგზის მშენებლობაზე დასაქმებულები მოსახლეობასთან ერთად რამდენიმე დღის განმავლობაში აქციას მართავდნენ და დამნაშავეების სათანადოდ დასჯას, ზვარის ობიექტზე მთლიანი მენეჯმენტის შეცვლასა და განაცდური დღეების ანაზღაურებას მოითხოვდნენ.

ვითარების გარკვევის მიზნით, ადგილზე მთელი კვირის განმავლობაში იმყოფებოდნენ: ხარაგაულის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი დავით დევდარიანი, გამგებლის მოადგილეები პაატა გოგოლაძე და თეიმურაზ ჩხეიძე. სოფელ ზვარეში რკინიგზის მშენებლობაზე მომუშავეთა მხარდასაჭერად ადგილზე იმყოფებოდა ასევე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ვარლამ (ტატო) თავზარაშვილი და ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე შალვა ლურსმანაშვილი. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები გაფიცულ მუშებს სოლიდარობას უცხადებდნენ.

9 ნოემბერს ზვარეში პროტესტი შეწყდა. ქართველი მუშების ცემაში ბრალდებულ ჩინეთის 16-მდე მოქალაქეს სამსახური დაატოვებინეს. ქართველები კი სამუშაოს დაუბრუნდნენ.

ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიუროს მენეჯმენტი, ვის მიმართაც პრეტენზიები არსებობდა, შეიცვლება. მუშებს აუნაზღაურდებათ გაფიცვის პერიოდში გაცდენილი სამუშაო დღეების ღირებულება.

მენეჯმენტში მოადგილეებად დაინიშნა ადგილობრივი ქართველი წარმომადგენლები, რათა არსებობდეს კომუნიკაცია ხელმძღვანელობასა და დასაქმებულებს შორის.

„ჩვენი მოთხოვნა რაც იყო, დაკმაყოფილდა, ამიტომ ვუბრუნდებით სამუშაოს.“ - განაცხადა სარკინიგზო გვირაბის მშენებლობაზე ერთ-ერთმა დასაქმებულმა გელა ჩიტიაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ ზვარეში მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ცემას ან სხვაგვარ ძალადობას გულისხმობს. ჩინეთის 3 მოქალაქე ამ დრომდე წინასწარი დაკავების იზოლატორში იმყოფება.

ეკა შავიძე

ხარაგაულის სამუსიკო სკოლაში ვალერი გოგნაძის წიგნის პრეზენტაცია გაიმართა

4 ნოემბერს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლაში ვალერი გოგნაძის წიგნის, „ჩემი ლურჯი მარათონის“, პრეზენტაცია გაიმართა. წიგნის, რომელშიც დაახლოებით შვიდასამდე ლექსი, ორი ბალადა და ორი ლირიკული პოემაა გაერთიანებული, რედაქტორია, პოეტი, პროზაიკოსი, ჟურნალ „განთიადის“ მთავარი რედაქტორი ავთანდილ ყურაშვილი. მაღალი პოლიგრაფიული დონე კი შპს „ხომლი-ენ-მა“ განსაზღვრა.

ღონისძიება ხარაგაულის რეზო თაბუკაშვილის სახელობის ლიტერატურული თეატრის დირექტორმა ქალბატონმა იზა ვეფხვაძემ გახსნა და ვალერი გოგნაძის შემოქმედება მისთვის შესატყვისი მხატვრულობით მიმოიხილა. როგორც ქალბატონმა იზამ აღნიშნა, დაახლოებით ოცი წლის წინ ვალერი გოგნაძის ლექსების 99%, „უჯრის პატიმარი“ იყო.

„სრულიად შემთხვევით, ხელში ჩამივარდა ეს ლექსები და დიდი გულისყურით წავიკითხე. მაშინვე ვიფიქრე, არ შეიძლებოდა ამ შემოქმედების შესახებ საზოგადოებას არ სცოდნოდა და ამაში ალბათ გარკვეული „ბრალი“ მიმიძღვის. სულ მალე მკითხველმა მიიღო მისი პირველი წიგნი „თეთრი შარაგზა“, რომლის პრეზენტაციაც 1997 წელს სწორედ ამ დარბაზში გაიმართა,“ - დასძინა ქალბატონმა იზამ და ხაზი გაუსვა იმ ფაქტს,რომ ვალერი გოგნაძის სახით ხარაგაულსა და სრულიად საქართველოს ნიჭიერი პოეტი ჰყავს.

ერთტომეული „ჩემი ლურჯი მარათონის“ პრეზენტატორი დაბის N3 საჯარო სკოლის პედაგოგი ქალბატონი მერი გიორგიძე გახლდათ. მან აღნიშნა, რომ ბატონი ვალერის მოღვაწეობა ერთი ნათელი ფურცელია იმისა, თუ როგორი უნდა იყოს პიროვნება. მისივე განმარტებით, ვალერი გახლავთ ადამიანი, რომელშიც შერწყმულია ის საუკეთესო, რაც არის სინონიმი ქართველი ვაჟკაცისა, რომ ამ წიგნით მკითხველში კიდევ ერთხელ გაძლიერდება ის ღვთიური ძალა, რაც უკავშირდება მშობელ მიწას, ოჯახის ღირსებას, შთამომავლობაზე ფიქრსა და ოცნებას, მშობლებისა და უსაყვარლესი ბებიის ნათელ მოგონებას...

საღამო განსაკუთრებით გაალამაზეს დაბის N2 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა. მათ საოცარი მხატვრული ოსტატობით წაიკითხეს მათი გულისხმიერი წინამძღოლის შთამბეჭდავი ლექსები.

პოეტ-იუბილარს მიესალმნენ და მისი შემოქმედებითი დიაპაზონი და მოქალაქეობრივი მისია სათანადოდ შეაფასეს:

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსმა ირინე ჩხეიძემ, საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა დავით კიკნაძემ; სტუმრებმა: ელუჯა თავბერიძემ,გიზო თავაძემ, ავთანდილ ყურაშვილმა, თემურ ამყოლაძემ, სერგო წურწუმიამ, ლევან ჩიხლაძემ, კახა გოგნაძემ, ვანო ჟორჟოლიანმა.

ამ მშვენიერ საღამოზე გაფორმდა მეგობრობის მემორანდუმი სსიპ ხარაგაულის N 2 საჯარო და დიმის N1 საჯარო სკოლებს (დირექტორები: ვალერი გოგნაძე,მერაბ კვირიკაშვილი) შორის.

არაერთი სიმღერის ავტორმა, ქალბატონმა დალი მერაბიშვილმა, ვალერი გოგნაძის „ქრიზანთემებზე“ შექმნილი მშვენიერი მელოდიის პრემიერით მიულოცა პოეტს საიუბილეო თარიღი და მშვენიერი წიგნის გამოცემა.

დამსწრე საზოგადოებამ კიდევ ერთხელ ირწმუნა ჭეშმარიტი პოეზიის ძალა და მკითხველთა გულებისაკენ გზა დაულოცა პოეტის ორმოცდაათწლიანი შემოქმედების გვირგვინს, რომელსაც ძალზე მიგნებული შესიტყვება „ჩემი ლურჯი მარათონი“ ჰქვია.

ეკა შავიძე

კობა ლურსმანაშვილი მეცხრე მოწვევის პარლამენტში რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის პოსტს დაიკავებს

პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ საპარლამენტო თანამდებობებზე წარსადგენ კანდიდატურების სიას აქვეყნებს. როგორც ცნობილი გახდა, რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის პოსტს ბაღდათი- ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატი, კობა ლურსმანაშვილი, დაიკავებს.

რაც შეეხება სხვა კანდიდატებს, პოლიტსაბჭოსა და საპარლამენტო უმრავლესობის გადაწყვეტილებით, საპარლამენტო თანამდებობებზე წარდგენილ იქნება შემდეგი კანდიდატურები:

პარლამენტის თავმჯდომარე - **ირაკლი კობახიძე;**

პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე - **თამარ ჩუგოშვილი;**

პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე - **გიორგი ვოლსკი;**

პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე - **ზვიად ძიძიგური;**

პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე აჭარიდან - **ილია ნაკაშიძე;**

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი - **არჩილ თალაკვაძე;**

ფრაქცია “ქართული ოცნების“ თავმჯდომარე **მამუკა მდინარაძე,** თავმჯდომარის მოადგილე - **დიმიტრი სამხარაძე;**

აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე - **ოთარ დანელია**, პირველი მოადგილე -**გელა სამხარაული**, მოადგილე - **ირაკლი შიოლაშვილი;**

განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე - **მარიამ ჯაში**, პირველი მოადგილე - **გენადი მარგველაშვილი,** მოადგილე - **გუგული მაღრაძე**;

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარე - **კახა კუჭავა,** პირველი მოადგილე - **ზაზა ხუციშვილი,** მოადგილე - **ენძელა მაჭავარიანი;**

დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე - **რომან კაკულია,** პირველი მოადგილე - **გიორგი ბეგაძე,** მოადგილე - **რევაზ არველაძე;**

დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე - **ზვიად კვაჭანტირაძე,** პირველი მოადგილე - **სალომე ზურაბიშვილი,** მოადგილე - **ირაკლი მეზურნიშვილი;**

ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე - **თამარ ხულორდავა,** პირველი მოადგილე - **ირინა ფრუიძე,** მოადგილე - **ბექა ნაცვლიშვილი;**

თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე - **ირაკლი სესიაშვილი,** პირველი მოადგილე - **ირაკლი ბერაია,** მოადგილე - **კობა კობალაძე;**

იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე - **ეკა ბესელია,** პირველი მოადგილე - **ვანო ზარდიაშვილი,** მოადგილე - **დავით მათიკაშვილი;**

რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის თავმჯდომარე - **გიორგი ლილუაშვილი,** პირველი მოადგილე - **მერაბ ქვარაია,** მოადგილე - **კობა ლურსმანაშვილი;**

საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე - **სოფო ქაცარავა,** პირველი მოადგილე - **ნინო გოგუაძე,** მოადგილე **დიმიტრი ცქიტიშვილი;**

საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარე - **გიორგი კახიანი,** პირველი მოადგილე - **გურამ მაჭარაშვილი,** მოადგილე - **შალვა კიკნაველიძე;**

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე - **ირაკლი კოვზანაძე,** პირველი მოადგილე **პაატა კვიჟინაძე,** მოადგილე - **ირაკლი ბერაია;**

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე - **აკაკი ზოიძე,** პირველი მოადგილე - **დიმიტრი ხუნდაძე,** მოადგილე - **ლევან კობერიძე**.

ეკა შავიძე

საკრებულოს სხდომაზე ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის ანგარიში მოისმინეს

7 ნოემბერს საკრებულოს სხდომაზე დეპუტატებმა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის ანგარიში მოისმინეს, რომელიც ამავე სამსახურის უფროსმა, მალხაზ ფხალაძემ, წარმოადგინა. მალხაზ ფხალაძის ინფორმაციით, 2016 წელს მუნიციპალიტეტის პრიორიტეტად საბავშვო ბაღებისა და გზების რეაბილიტაცია, ასევე დამცავი კედლების მოწყობა განისაზღვრა.

„რეაბილიტაცია ჩაუტარდა დაბის N2, ხევის, ღორეშის, წიფისა და მოლითის საბავშვო ბაღებს. ჯამში ამ მიმართულებით 302 519 ლარი დაიხარჯა. გზების რეაბილიტაციისთვის 1 მილიონ 629 470 ლარი იყო გათვალისწინებული. ამ თანხით რეაბილიტირდა უბისა- ღორეშის დამაკავშირებელი საავტომობილო გზა, მოასფალტდა ბაზალეთი-ქროლის მიმართულებით 1კმ გზის მონაკვეთი, მობეტონდა სოფელ გედსამანიის ცენტრალური გზა. რაც შეეხება დამცავი კედლების მოწყობას, მასზე 48 513 ლარი დაიხარჯა.“ - განმარტა მალხაზ ფხალაძემ.

ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში გამოყოფილ თანხებსაც შეეხო და აღნიშნა, რომ მიმდინარე წელს ამ კუთხით ხარაგაულის მუნციპალიტეტს 685 310 ლარი გამოეყო.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში პროექტების უმრავლესობა დასრულებულია. მეტად მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები დაფინანსდა ადგილობრივი ბიუჯეტიდან. საერთო ჯამში ამ მიმართულებით 188 269 ლარია გახარჯული,“ - დასძინა მალხაზ ფხალაძემ.

ლეღვნის მაჟორიტარი დეპუტატი, ინგა მაღრაძე, დაინტერესდა, რა ბედი ეწევა იმ პროექტებს, რომლებზეც მუშაობა ამჟამად შეჩერებულია. ყურადღება კი გედსამანიის გზაზე გაამახვილა.

მალხაზ ფხალაძის თქმით, ,,გედსამანიაში სამუშაოების გასაგრძელებლად ტენდერი უახლოეს დღეებში გამოცხადდება. თავდაპირველად სამუშაოებს ვინც ასრულებდა, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობები ვერ შეასრულა და ამიტომ კონტრაქტი შეუწყდა. სამწუხაროდ, ადგილობრივი თვითმმართველობა ვერ წყვეტს, რომელ კომპანიას დაუკვეთოს სამუშაოები. ყველა პროექტი ტენდერზე გადის და ვინ გაიმარჯვებს, ამის თქმა წინასწარ შეუძლებელია.“

სხდომაზე მალხაზ ფხალაძემ ასევე წარმოადგინა ის პროექტები, რომლებიც ტენდერებში დაზოგილი თანხებით განხორციელდება. საუბარია „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში განსახორციელებელი პროექტებიდან დაზოგილ თანხებზე.

იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, მიხეილ გელაშვილმა, ნადაბურში ამბულატორიისათვის ორი ოთახის გარემონტებაზე ისაუბრა. „უკვე ორი წელია, ხარჯთაღრიცხვა გაკეთებულია, თუმცა პროექტის დასაფინანსებლად თანხები ამ დრომდე ვერ მოიძებნა. კარგი იქნებოდა, ტენდერებიდან დაზოგილი თანხები ამ პროექტისკენაც მიგემართათ,“ - აღნიშნა გელაშვილმა.

მალხაზ ფხალაძის ინფორმაციით, „ტენდერებიდან გამოთავისუფლებული 60 ათასი ლარი უკვე მიმართულია სხვა პროექტებზე. შემდგომში კიდევ გვექნება დანაზოგი და აუცილებლად იქნება გათვალისწინებული ნადაბურში ამბულატორიისთვის ოთახების გარემონტება“.

ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის ანგარიში დეპუტატებმა დადებითად შეაფასეს.

თამარ მაღრაძე

ხარაგაული „რაინდებით" გაივსება...

5 ნოემბრის მზიანი დილაა. შემოდგმის მზე უხვად გვთავაზობს მაცოცხლებელ სხივებს. დილის 10 საათზე ხარაგაულის რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრის წინ იკრიბებიან ქართულ ეროვნულ ჩოხებში გამოწყობილი თვალხატულა ბიჭუნები, მალე მათ, ასევე ეროვნული სამოსით, სამი გოგონაც შეუერთდა...

თეატრის ფანჯრებიდან მოედანს ეფინება მელოდიებით „შავლეგო", „ჩემო კარგო ქვეყანავ", ჩოხოსან რაინდთა ჰიმნი...

ყველას სახეზე ხალისი და მხიარული განწყობილება იხატება. ამის მიზეზი კი შემდეგშია: მიმდინარე წლის 14 ივლისს ბევრი მათგანი მთაწმინდაზე ესწრებოდა იმ საზეიმო ცერემონიალს, როცა საქართველოს ეროვნული გმირის, ქაქუცა ჩოლოყაშვილის, საფლავთან საქართველოში ერთ-ერთმა ცნობილმა პატრიოტულმა ორგანიზაციამ, ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის ჩოხოსან რაინდთა დასმა (ხელმძღვანელი - აკაკი წერეთლის პრემიის ლაურეატი, პროფესორი გოგი დოლიძე) თავის საპატიო წევრად მიიღო სრულიად საქართველოში პატრიოტული საქმეებითა და ღვთიური ნიჭიერებით აღიარებული ქალბატონი, ხარაგაულის რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრის დამაარსებელი, რეჟისორი, სცენარისტი და მსახიობი, იზა ვეფხვაძე.

სწორედ მისი დიდი სურვილი იყო, რომ სამომავლოდ ჩოხოსანთა დიდ არმიას ხარაგაულელებიც შეერთებოდნენ.

ეს მშვენიერი იდეა, ერთ-ერთმა პირველმა, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა, ბატონმა დავით კიკნაძემ, აიტაცა და შესაბამის ორგანიზაციულ საქმეებში გვერდით დაუდგა ქალბატონ იზას ჩანაფიქრის განსახორციელებლად.

* * *

ცოტა ხანიც და მანქანებმა გეზი ბორითის იმ ტრაგიკული ადგილისაკენ აიღეს, სადაც სამშობლოს სიყვარულისთვის წამებული ვაჟკაცის, მერაბ კოსტავას, წმინდა სული ზეცას შეუერთდა...

სწორედ მისი ხსოვნის მემორიალთან მიეგებნენ ხარაგაულელი მასპინძლები საპატიო სტუმრებს. აი ისინი: ჩოხოსან რაინდთა დასის ხელმძღვანელი, აკაკი წერეთლის პრემიის ლაურეატი, პროფესორი გოგი დოლიძე; დავით თევზაძე- ფილოსოფიის დოქტორი, გენერალ-ლეიტენანტი, თავდაცვის ყოფილი მინისტრი, საქართველოს კარატეს ფედერაციის დამფუძნებელი და პირველი პრეზიდენტი; კოტე მიქაძე- კომპოზიტორი; ვაჟა მანჯგალაძე - ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, გენერალი; რეზო ბუბუტეიშვილი - ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პოლკოვნიკი; ზაალ სიხარულიძე - ვეტერანი, შეიარაღებული ძალებისა და კონფლიქტების ვეტერანთა კავშირის - "ვეტერანები მშვიდობისათვის" წევრი და ამერკავკასიის ვეტერანთა კავშირის თავმჯდომარე; ივანე ჯაფარიძე - გეოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, გადაცემა " ჩვენი საგანძურის" ავტორი და წამყვანი; ფრიდონ მაღრაძე - მწერალი, გამომცემელი, მეცენატი; ილია პატაშური - მხატვარი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი; დავით ჭელიძე - მწერალი, სპორტული ჟურნალისტი.

მერაბ კოსტავას ხსოვნისადმი პატივგების შემდეგ სტუმარ-მასპინძლებმა მოილოცეს უბისის მონასტერი. ხარაგაულის შესასვლელში - „დევებთან" - სტუმრებს ერთი წლის ჩოხოსანი - ლილე ფცქიალაძე და ნაბდოსანი ცხენოსნები ელოდნენ ეროვნული დროშებითა და ქართული ზედაშით სავსე დოქ-ფიალებით...

ოფიციალური შეხვედრა ხარაგაულის კინოთეატრში შედგა, სადაც ბატონმა გოგი დოლიძემ და სტუმრებმა მიმართეს შეკრებილ საზოგადოებას. ასევე საზოგადოებას მიესალმნენ: ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი დავით კიკნაძე, მესამე საჯარო სკოლის პედაგოგი მერი გიორგიძე, ამავე სკოლის დაწყებითი კლასების პედაგოგი ვენერა კიკნაძე, რომელიც ამაყობდა, რომ თავისი კლასის პატარა ქართველები ამ ღირსეულ სტუმრებს შეახვედრა. დავით კიკნაძემ ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრის სახელით გოგი დოლიძეს სამახსოვრო საჩუქარი გადასცა.

ჩოხოსანთა ჰიმნის ფონზე დასის ხელმძღვანელმა, ბატონმა გოგი დოლიძემ, 40 ხარაგაულელს მიულოცა დასის წევრობა და სამახსოვროდ თითოეულს ჟურნალ „რაინდის" სპეციალური ნომერი გადასცა საკუთარი ავტოგრაფით.

მალე 40 ხარაგაულელი ჩოხოსანთა დასის წევრობის დამადასტურებელ დოკუმენტს მიიღებს.

იზა ვეფხვაძემ ჩოხოსან რაინდთა დასის წინაშე ხარაგაულის ფილიალის ხელმძღვანელის კანდიდატურად წარადგინა ხარაგაულელი ჩოხოსანი ბესიკ სახვაძე. წინადადება მხარდაჭერილ იქნა. როგორც იზა ვეფხვაძემ აღნიშნა, ყოველწლიურად მოხდება დასში ახალი წევრების მიღება.

იზა ვეფხვაძე: გასულ წელს მქონდა პატივი, გავმხდარიყავი ჩოხოსან რაინდთა დასის საპატიო წევრი. ამ დასს არსებობის მანძილზე სულ 5 საპატიო წევრი ჰყავს მიღებული, 3 უცხოელი და 2 ქართველი, მსოფლიო ჩემპიონი ნინო სალუქვაძე და მე. ბუნებრივია, ვგრძნობდი და ვგრძნობ იმ დიდ დაფასებასა და პასუხისმგებლობას, რაც ამ დასმა ჩემ მიმართ გამოიჩინა. პირველი, რაც ჩავიფიქრე, ეს გახლდათ ის, რომ ხარაგაულელი ახალგაზრდები გამეწევრიანებინა ამ დასში და ხარაგაულში შემექმნა ჩოხოსან რაინდთა დასის ფილიალი. ვფიქრობ, ჩოხოსნობა ყველა ახალგაზრდისთვის უდიდესი პატივია, რადგან ის ჩოხის ტარებასთან ერთად იღებს უდიდეს პასუხისმგებლობას მამულისა და ოჯახის წინაშე. სწორედ ამ მიზნით ხარაგაულში მოვიწვიე დასის ხელმძღვანელი პროფესორი გოგი დოლიძე და დასის მთავარი ბირთვი. ძალიან ბევრ ახალგაზრდას მიეცა შესაძლებლობა, თავის ცხოვრებაში შეეტანა სასიკეთო ცვლილება, რაინდთა დასის წევრი გამხდარიყო და ამ დიდ ქართველებთან ერთად თავისი სამშობლოს რაინდულად მსახურების უფლება მიეღო. მომავალი წლის 14 ივლისს, ახალგაზრდები მთაწმინდაზე, საქართველოს ეროვნული გმირის, ქაქუცა ჩოლოყაშვილის საფლავზე, მიიღებენ საზეიმო ფიცს. მომავალ წელსაც არაერთ ხარაგაულელს გავაწევრიანებთ ჩოხოსან რაინდთა დასში და ხარაგაული სულ მალე გაივსება "რაინდებით"... მჯერა, რომ ეროვნული სამოსის ტარებას და დასის წევრობას შეუძლია ძალიან დიდი ემოციური და პატრიოტული მუხტი შეიტანიოს ადამიანის ცხოვრებაში. უახლოეს პერიოდში ვგეგმავ, რომ დასის წევრი ახალგაზრდებისთვის სასიამოვნო შეხვედრა-ღონისძიებები გავმართო ბატონ გოგი დოლიძესა და დასის სხვა წევრებთან ერთად. მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო ბატონ გოგის და დასის ყველა წევრს, ვინც ამ დღეს დიდი სიხარული, დიდი ემოცია და სიყვარული აჩუქა ხარაგაულსა და ხარაგაულელებს.

ბატონი **გოგი დოლიძე** ხარაგაულში სტუმრობით აღფრთოვანებულია და ამბობს, რომ ამ კუთხის შესახებ ბევრი კარგი სმენია.

„დღევანდელი დღე არის ერთი არაჩვეულებრივი დღეთაგანი ჩოხოსან რაინდთა დასისა. ჩვენ ვდგავართ მამულის სამსახურში და მუხლჩაუხრელად ვცდილობთ, როგორმე წავაშველოთ ხელი მომავალ თაობას, რათა ჩამოყალიბდნენ ნამდვილ ეროვნულ გმირებად. მსგავსი ტიპის ღონისძიება ხარაგაულის მუნიციპალიტეტში კვლავ გაიმართება. ჩვენ გვექნება მუდმივი კონტაქტი ბავშვებთან, რომლებიც ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის ჩოხოსანთა დასის წევრები გახდნენ. მუდამ უნდა გვახსოვდეს ჩვენი მოვალეობა ქვეყნისა და ერის წინაშე.

* * *

უკვე ტრადიციად დამკვიდრდა, რომ დასის ახალი წევრები ყოველი წლის 14 ივლისს, ეროვნული გმირის დაბადების დღეს, მთაწმინდაზე, ქაქუცა ჩოლოყაშვილის საფლავთან, დებენ ფიცს, რომლის ტექსტიც უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ილია II -მ შექმნა.

გვწამს, ხარაგაულელი ჩოხოსნები ამაღლებული პატრიოტული სულისკვეთებით ღირსეულ ფურცლებს შეჰმატებენ ჩოხოსან რაინდთა დასის საამაყო ისტორიას.

ეკა შავიძე
მერი გიორგიძე

„ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიუროს" წარმომადგენლებმა დაზარალებულთა ოჯახები მოინახულეს

„ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიუროს" გენერალური დირექტორის მოადგილე ეინ გოუ სუნმა, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეებმა: პაატა გოგოლაძემ, თეიმურაზ ჩხეიძემ, გამგებლის წარმომადგენელმა ზვარის ადმინისტრაციულ ერთეულში ბერიკა ტალახაძემ და ამავე თემის მაჟორიტარმა დეპუტატმა ლადო ტალახაძემ ზვარეში მომხდარი დაპირისპრების დროს დაზარალებულთა ოჯახები მოინახულეს და არსებული სიტუაციის შესახებ მათი აზრი მოისმინეს. ჩინურმა მხარემ მზადყოფნა გამოთქვა, აანაზღაუროს დაშავებულთა მკურნალობის ხარჯები და შესაბამისი დახმარება გაუწიოს დაზარალებულს.

საკრებულოს სხდომაზე ბიუჯეტის ცხრა თვის შესრულების შესახებ ინფორმაცია მოისმინეს

7 ნოემბრის საკრებულოს მორიგ სხდომაზე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2016 წლის ბიუჯეტის ცხრა თვის შესრულების შესახებ ინფორმაცია მოისმინეს.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, ვარლამ ჭიპაშვილმა, დეპუტატებს კომისიის დასკვნა გააცნო. მისი თქმით, ის ხარვეზები, რომლებიც იყო შემოსავლების ნაწილში, მომავალი წლისთვის აუცილებლად გასათვალისწინებელია. „ამ ეტაპისათვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი, შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილში, მაღალი შესრულებლით არ გამოირჩევა, თუმცა, საერთო ჯამში, კატასტროფული მდგომარეობა ნამდვილად არაა. ცხრა თვის მიხედვით გაწერილი ხარჯები დაფარულია. თანხების დამატების მოთხოვნით, ძირითადად, საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან შემოდიან, რის თაობაზეც, საფინანსო-საბიუჯეტო კომისია და საკრებულოც იმსჯელებს, თუ რა რესურსით უნდა მოხდეს მათი დაფინანსება." - განმარტა ვარლამ ჭიპაშვილმა.

კომისიის თავმჯდომარემ რიგი შენიშვნა - რეკომენდაციები გამოხატა თანხების ათვისების კუთხითაც. „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში გამოყოფილი თანხების ათვისების დონე დაბალია და ეს პროცესი დროულად უნდა დასრულდეს. ასევე მეტი ყურადღებაა საჭირო ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად, რომელზეც ამ მიმართულებით ადგილობრივი შემოსავლებიდან თანხები არასაკმარისადაა გახარჯული. საბიუჯეტო შემოსულობების ნაწილში შესრულების მაჩვენებელი იძლევა იმის აუცილებლობას, რომ მუნიციპალიტეტმა ამ ეტაპზე განიოს მხოლოდ აუცილებელი ხარჯები და თავი შეიკავოს დამატებითი ხარჯებისაგან. ყურადსაღებია ის, რომ ბუნებრივი რესურსების გადასახდელის ნაწილში ბიუჯეტი, დიდი ალბათობით, არ შესრულდება. ნათელია, რომ მუნიციპალიტეტის მხრიდან სამასალე ხე-ტყეზე ნებართვის გაცემის დაწყების თაობაზე არასწორი მოლოდინი იყო. ვიმედოვნებთ, რომ რიგი შემოსავლების გადაჭარბებით შესრულების ხარჯზე შემოსავლები დაბალანსდება. გარდა ამისა, გამგეობამ სოციალური პროგრამების მიმართულებით გამოყოფილი ფინანსებით დროულად უნდა უზრუნველყოს სოციალური მოთხოვნების დაკმაყოფილება და შესრულების მაჩვენებელი გაცილებით მეტი უნდა იყოს,"- განაცხადა ვარლამ ჭიპაშვილმა.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2016 წლის ბიუჯეტის ცხრა თვის შესრულების შედეგების განხილვის შესახებ საკითხი დეპუტატებმა ცნობად მიიღეს.

თამარ მაღრაძე

საკრებულოს უმრავლესობამ ფრაქცია „თავისუფალი არჩევანის“ შექმნას მხარი არ დაუჭირა

7 ნოემბერს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე დეპუტატებმა ფრაქცია „თავისუფალი არჩევანის“ დაფუძნების თაობაზე იმსჯელეს. საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიამ ფრაქციის შექმნის შესახებ უარყოფითი დასკვნა გამოიტანა. კომისიის თავმჯდომარის, მიხეილ გელაშვილის, განმარტებით, ახალი ფრაქციის დაფუძნების შესახებ, „ქართული ოცნება - კონსერვატორების“ თავმჯდომარის, გელა გოლუბიანის, განცხადება შევიდა, რომელშიც ფრაქციის ყველა წევრი ადასტურებდა, რომ დატოვეს „კონსერვატიული პარტია“ და ამ სახელწოდებით ფრაქციის ფუნქციონირების შეწყვეტას ითხოვდნენ. ამასთან გელა გოლუბიანის განცხადებაში ახალი ფრაქციის, „თავისუფალი არჩევანის“ დაფუძნების შესახებ იყო საუბარი. იურიდიულმა კომისიამ განიხილა აღნიშნული ფრაქციის დაფუძნების კანონიერების საფუძველი და ხმათა უმრავლესობით ფრაქციის შექმნის საკითხი უარყოფითად გადაწყვიტა.

საკრებულოს აპარატის უფროსის, ლენა კალანდაძის, განმარტებით, „აპარატში შემოვიდა უპარტიო წევრების განცხადება. მათ შეეძლოთ, გაერთიანებულიყვნენ კოალიციაში შემავალ ფრაქციაში, მაგრამ ის, რომ საკრებულოში დამოუკიდებლად უპარტიო ფრაქცია შეიქმნას, კანონი ამის საშუალებას არ იძლევა. ამ შემთხვევაში ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები“ ყველა წევრმა დატოვა და ისინი ავტომატურად გახდნენ უპარტიოები. აქედან გამომდინარე, ახალი ფრაქციის შექმნის უფლებას კანონი აღარ აძლევა,“ - განაცხადა ლენა კალანდაძემ. მისივე განმარტებით, რაკი იურიდიულმა კომისიამ დასკვნა უკვე წარმოადგინა, საკითხი ყველა შემთხვევაში უნდა გავიდეს კენჭისყრაზე. თუ რომელიმე მხარეს გადაწყვეტილება არ მოეწონება, მიღებული იქნება სამართლებრივი აქტი, რომელიც შეიძლება გასაჩივრდეს და იდავონ სამართლებრივად.

განსხვავებული აზრი აქვს ახალი ფრაქციის დაფუძნების შესახებ განცხადების ავტორს, გელა გოლუბიანს. მისი თქმით, საკრებულოს აპარატში ფრაქციის შექმნის შესახებ განცხადების შეტანისას დარღვევა თავიდანვე დაფიქსირდა. იურიდიულ კომისიას საკითხი სამი დღის ვადაში უნდა განეხილა და შესაბამისი დასკვნა დაედო. „სამი დღის ვადაში კომისიამ თავდაპირველად დადებითი დასკვნა დადო, მაგრამ შემდეგ უმრავლესობამ ეს დასკვნა გააუქმა, ვფიქრობ, კანონის დარღვევით. წესით, საკითხი უნდა გატანილიყო საკრებულოს მორიგ სხდომაზე და დეპუტატებს იგი ცნობის სახით უნდა მიეღოთ. ამის შემდეგ უმრავლესობას ექნებოდა უფლება, გადაწყვეტილება სასამართლოში გაესაჩივრებინა და ის მიიჩნევდა „თავისუფალი არჩევანის“ შექმნას კანონიერად ან უკანონოდ.“

საკითხთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრება გამოხატა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, ვარლამ ჭიპაშვილმა.

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 30-ე მუხლისა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 35-ე მუხლის მე-2 ნაწილში ცალსახადაა გაწერილი ფრაქციის შექმნის სამართლებრივი საფუძვლები. აქედან გამომდინარე, ვინაიდან ფრაქციის შექმნის მსურველთა აბსოლუტური უმრავლესობა (ოთხი წევრი) არჩეული არის საარჩევნო ბლოკის მიერ და ამასთანავე არიან უპარტიოები, კანონის შესაბამისად, მათ უფლება აქვთ, გაერთიანდნენ მხოლოდ წარმდგენი ბლოკისა და ამ ბლოკში გაერთიანებული პარტიების მიერ შექმნილ ერთ-ერთ ფრაქციაში. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ფრაქციის პოლიტიკური პლატფორმა ბუნდოვანი და არასრულყოფილია.“

საკრებულოს დეპუტატთა უმრავლესობამ კომისიის უარყოფით დასკვნას მხარი დაუჭირა და ფრაქცია „თავისუფალი არჩევანი“ არ შეიქმნა.

დეპუტატებს, რომელთაც ახალი ფრაქციის შექმნა მოითხოვეს, შეუძლიათ გადაწყვეტილება გაასაჩივრონ სასამართლოში.

თამარ მაღრაძე

ხარაგაულელი სპორტსმენების ჯიდევ ერთი წარმატება

5 - 6 ნოემბერს თბილისში გაიმართა საქართველოს თასის პირველობა კუნგ-ფუ სანდოში. ტურნირში მონაწილეობას იღებდნენ ა(ა)იპ „სპორტის განვითარებისა და მართვის მუნიციპალურ ცენტრთან“ არსებული კარატეს წრის სპორტსმენები (მწვრთნელი ზვიად კურტანიძე). ხარაგაულელმა ახალგაზრდებმა წარმატებით იასპარეზეს და საპრიზო ადგილებიც მოიპოვეს.

ვაჟებს შორის ჩემპიონები გახდნენ:

ბესო მაჭავარიანი - 20კგ;
რატი დევდარიანი - 23 კგ;
გაგა გელაშვილი - 26კგ.
გიორგი იოსებაშვილი - 29კგ;
გოგა ფურცელაძე - 35კგ;
ერეკლე მაღრაძე - 62კგ;

მეორე ადგილი თამაზ ხაჩიძემ დაიკავა, ხოლო მესამე ადგილი წილად ხვდათ დავით სხილაძეს, გივი მაზიაშვილსა და გიორგი მაღრაძეს.

გოგონებს შორის საპრიზო ადგილები შემდეგნაირად გადანაწილდა:

თამუნა გელაშვილი - 44კგ;
მელანო ჭიპაშვილი - 55კგ.

რა პროექტების განხორციელება იგეგმება 2017 წელს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში

2017 წელს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში რეგიონული განვითარების ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების ნუსხაში ცვლილება შევიდა. გამგეობის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის, მალხაზ ფხალაძის განმარტებით, ცვლილებები პროექტებში ადგილობრივი ხელისუფლების მიერ საგზაო ინფრასტრუქტურაზე პრიორიტეტის მინიჭებამ გამოიწვია. ათი ინფრასტრუქტურული პროექტის ნაცვლად, მუნიციპალიტეტში რგფ-ით დასაფინანსებელი ცხრამეტი პროექტი განიხილება. კერძოდ, 2017 წელს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში იგეგმება:

1. ლაშის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლებში (ხემაღალი 300მ, ღვერკი 300მ, იგორეთი 300მ, უჩამეთი 300მ, ლაშე ხუთ ადგილზე -1500მ) გზების რებილიტაცია. პროექტის ღირებულება 540 ათასი ლარი;

2. მოლითის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლებში (ნებოძირი 800მ, დეისი 300მ, ქვები 300მ, ბაბი 300მ, მოლითი 300მ, ბეჟათუბანი 300მ) გზების რეაბილიტაცია. პროექტის ღირებულება 460 000 ლარი;

3. ლეღვნის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლებში (ლეღვანი 300მ, მარელისი 300მ) გზების რეაბილიტაცია. პროექტის ღირებულება 120 000 ლარი;

4. ვახანის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლებში (ვახანი 1 100მ, ზედუბანი 300მ, სერბაისი 300მ) გზის რეაბილიტაცია. პროექტის ღირებულება 340 000 ლარი;

5. საღანძილის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლებში (ვანი 1 000მ, ჩხერი 1 000მ, ჯაფაროული 300მ, საღანძილე 300მ, ზარანი 600მ) გზების რეაბილიტაცია. პროექტის ღირებულება 640 000 ლარი;

6. ბაზალეთის ადმინისტრაციულ ერთეულში (სოფელ ღარიხევის გზის რეაბილიტაცია). პროექტის ღირებულება 60 000 ლარი;

7. ბორითის ადმინისტრაციულ ერთეულში (მაქათუბანი-ტალახაძეების უბანი 800მ, გამცემლიძეების უბანი 300მ, ვაშლევში ტაძართან 600მ, გაღმა ვაშლევში 800მ) გზების რეაბილიტაცია. პროექტის ღირებულება 500 000 ლარი;

8. დაბა ხარაგაულის ქუჩების რეაბილიტაცია (19 ადგილზე). პროექტის ღირებულება 572 000 ლარი;

9. ვარძიის ადმინისტრაციულ ერთეულში (სოფელ ვარძიის პირველ უბანში) გზის რეაბილიტაცია. პროექტის ღირებულება 100 000 ლარი;

10. ზვარის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლებში (ჩრდილის პირველი უბანი 700მ, ჩრდილის მეორე უბანი 1 700მ) გზების რეაბილიტაცია. პროექტის ღირებულება 480 000 ლარი;

11. კიცხის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლებში (ბორში 300მ, საქარიქედში 300მ,კიცხში მდინარაძეების უბანში 300მ) გზების რეაბილიტაცია. პროექტის ღირებულება 280 000 ლარი;

12. ფარცხნალის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლებში (ფარცხნალი 900მ, ღუდუმექეთი 300მ, ისლარი 300მ, ახალსოფელი 300მ) გზების რეაბილიტაცია. პროექტის ღირებულება 360 000 ლარი;

13. წიფის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლებში (გოლათუბანი 800მ, წიფა 300მ) გზების რეაბილიტაცია. პროექტის ღირებულება 220 000 ლარი;

14. წყალაფორეთის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლებში (ხონი 400მ, ლახუნდარა 700მ) გზების რეაბილიტაცია. პროექტის ღირებულება 220 000 ლარი;

15. ხევის ადინისტრაციული ერთეულის სოფლებში (წაქვა 1 000მ, გრიგალეთი 400მ) გზების რეაბილიტაცია. პროექტის ღირებულება 280 000 ლარი;

16. სოფელ ხიდრის ცენტრალური გზის (300მ) რეაბილიტაცია. 60 000 ლარი;

17. ხუნევის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლებში (ვერტყვიჭალა 300მ, ბჟინევი 800მ) გზების რეაბილიტაცია. პროექტის ღირებულება 220 000 ლარი;

18. სარგვეშის ადმინისტრაცული ერთეულის სოფლებში (საბე 300მ, ხორითი 300მ, სარგვეში ცისკაძეების უბანი 400მ) გზების რეაბილიტაცია. პროექტის ღირებულება 200 000 ლარი;

19. ნადაბურის ადმინისტრაციულ ერთეულში საბავშვო ბაღის აშენება. პროექტის ღირებულება 150 000 ლარი.

თამარ მაღრაძე

შემოდგომის ზეიმი ხარაგაულის №1 საბავშვო ბაღში

8 ნოემბერს ხარაგაულის N1 საბავშვო ბაღის აღსაზრდელებმა ბარაქიანი შემოდგომა ზეიმით გააცილეს. შემოდგომის ფერებით მორთული და ნობათით სავსე ეზო განსაკუთრებით შთამბეჭდავი გახლდათ. ტრადიციულ იმერულ ტანსაცმელში გამოწყობილმა ბავშვებმა და მათმა აღმზრდელებმა მრავალფეროვანი აქტივობები წარმოადგინეს ბაღის ეზოში, სადაც ნამდვილი იმერული სამზადისი იყო გაჩაღებული. სპეციალურად მოწყობილი ფაცხები სავსე იყო უხვი ხილის კალათებით. ღონისძიებაზე პატარებმა სამშობლოსთან და შემოდგომასთან დაკავშირებული სიმღერები შეასრულეს და ლექსები წარმოთქვეს.

ზეიმის დასასრულს სიტყვით გამოვიდნენ სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორი, ირმა სებისკვერაძე და N1 ბაღის დირექტორი, ნანა რევაზიშვილი, რომლებმაც პატარებსა და მათ მშობლებს მრავალი ბედნიერი შემოდგომა და უფლის წყალობა უსურვეს.

გამომცემელი ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი"
მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: 22 32 25; ტირაჟი 1500 ცალი
დაიბეჭდა შპს „გამომცემლობა სამშობლოში“
დირექტორი: ეკა შავიძე; ტელ.: 595 51 98 12